სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
300.040.000.11.104.006.167

# საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის

## ბრძანება №01/01-01/230

2003 წლის 28 ოქტომბერი

ქ. თბილისი

## სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გადასახადების გაანგარიშების მიზნით რეკომენდირებული ფასების დამტკიცების შესახებ გარემოდან ამოღებულ მცენარეულ რესურსებზე, მათი ცხოველმოქმედების პროდუქტებზე, ნაწილებსა და დერივატებზე

საქართველოს საგადასახაო კოდექსის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილისა და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სატყეო მეურნეობის სა-ხელმწიფო დეპარტამენტის რეკომენდაციათა გათვა-ლისწინებით, **ვბრძანებ:**

1. გარემოდან ამოღებულ მცენარეულ რესურსებზე, მათი ცხოველმოქმედების პროდუქტებზე, ნაწილებსა და დერივატებზე გადასახადის გაანგარიშების მიზნით, სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირებისათვის დამტკიცდეს ფასები №1 დანართის მიხედვით, ერთი წლის ვადით.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ნ. თურნავას.

**გ. გაჩეჩილაძე**

**დანართი 1**

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გადასახადების გაანგარიშების მიზნით რეკომენ-დირებული საბაზრო საცალო ფასების დამტკიცების შესახებ გარემოდან ამოღებული მცენარეულ რესურსებზე, მათი ცხოველმოქმედების პროდუქტებზე, ნაწილებსა და დერივატებზე

I. მცენარეული რესურსები და დერივატები

| № | რესურსების დასახელება სახეობათა ჯგუფებისა და სახეობების მიხედვით | ზომის ერთეული | საბაზრო საცალო ფასები (ლარებში) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1. | კაკალი | კგ | 2-00 |
| 2. | თხილი, წაბლი, წიფლის წიწიბო | კგ | 1.00 |
| 3. | კუნელი, ასკილი, მაყვალი, შინდი, მოცვი, ქაცვი, ფშატი | კგ | 0.80 |
| 4. | პანტა, მაჟალო | კგ | 0.50 |
| 5. | ტყემალი, ზღმარტლი, კვრინჩხი | კგ | 0.70 |
| 6. | ჯონჯოლო, ღანძილი | კგ | 1.00 |
| 7. | შქერის, დეკას, წყავის, ჭყორის, თრიმლის, თუთუბოს, ევკალიპტის, მოცვის, არყის ხის ნედლი ფოთლები | კგ | 0.50 |
| 8. | გვირილას, ქრისტესისხლას, შავბალახას, ფარსმანდუკის, კრაზანას, ვარდკაჭკაჭას, ორკბილას, ხარიშუბლას, მატიტელას, თავშავას, მრავალძარღვის ნედლი მასა | კგ | 5.00 |
| 9. | ჯადვარის, დათვის კენკრას, სვიას (გირჩები), ენდროს, ძაღლის სატაცურის (მიწის ქონი) ნედლი მასა | კგ | 7.00 |
| 10 | მუხის ქერქი | კგ | 3.00 |
| 11 | ზეზეულ ხეებზე შეჭრილი ნედლი ტოტები<br>უთხოვრის, სხვა დანარჩენი წიწვოვანი სახეობების | კგ | 3.00<br>2.00 |

II. საკვები სოკოები

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | ნიყვი | კგ | 3.00 |
| 13 | მანჭკვალა | კგ | 0.50 |
| 14 | არყა | კგ | 0.40 |
| 15 | დათვის სოკო | კგ | 1.00 |
| 16 | დანარჩენი საკვები სოკოები | კგ | 0.70 |

III ცხოველების საკვები

| | | | |
|---|---|---|---|
| 17. | თივა (ნედლი მასა) | ტონა | 60.00 |
| 18. | სეზონში ერთი სული პირუტყვის მიერ მოძოვილი მწვანე მასა<br>მსხვილფეხა<br>წვრილფეხა<br>(ღორი, თხა, ცხვარი) | ტონა<br>0.5 ტონა | 60.00<br>30.00 |